დამტკიცებულია:

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“
რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის № ო/07 ბრძანებით

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტიდან“ სტიპენდიების დანიშვნის, გაცემისა და შეწყვეტის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტიდან“ სტიპენდიების დანიშვნის, გაცემისა და შეწყვეტის წესი“ (შემდეგ ტექსტში „წესი“) არეგულირებს გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში (შემდეგ ტექსტში „უნივერსიტეტი“) სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნის, გაცემისა და შეწყვეტის წესს.
2. წესი გულისხმობს უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დაწესებას ნახევარი სასწავლო წლის (ერთი სემესტრი - 4 თვე) განმავლობაში:
   ა) სტიპენდია 80,00 ლარის (ხელზე ასაღები) ოდენობით წესდება უნივერსიტეტის სტუდენტთათვის - აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით;
   ბ) სტიპენდია 80,00 ლარის (ხელზე ასაღები) ოდენობით წესდება სტუდენტი დედისთვის.

მუხლი 2. სტიპენდიანტთა შერჩევა

1. სტუდენტებს სტიპენდიები ენიშნებათ შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
   ა) უნივერსიტეტის სტიპენდია 80,00 ლარის (ხელზე ასაღები) ოდენობით ენიშნებათ სტუდენტებს, რომელთაც უკანასკნელი სემესტრის შედეგების გათვალისწინებით აქვთ 91-დან - 100 ქულამდე აკადემიური მოსწრება;
   გ) ამ წესის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტიპენდიები სტუდენტებს ენიშნებათ აკადემიური მოსწრების მიუხედავად, გასული სემესტრის ყველა დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. თუ სტუდენტი სწავლის შედეგებითაც იმსახურებს ამ, ან უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მოქმედი სხვა წესით გათვალისწინებულ სტიპენდიას, მას დაენიშნება მხოლოდ ერთი სტიპენდია, ის, რომელიც ყველაზე მეტი ოდენობისაა.
2. ამ წესის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტიპენდიის დანიშვნისას გათვალისწინებული იქნება უნივერსიტეტის სახელით სტუდენტების გამოსვლა სამეცნიერო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა და სხვა ღონისძიებებზე, აგრეთვე სხვა შემოქმედებითი აქტივობები.
3. სტიპენდია არ ენიშნება სტუდენტს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ღონისძიება, გარდა გაფრთხილებისა, ან რომელსაც ერთი სემესტრის განმავლობაში არასაპატიოდ გაცდენილი აქვს სალექციო საათების საერთო რაოდენობის 5%.
4. ამ წესით გათვალისწინებული სტიპენდიები არ ენიშნება იმ სტუდენტს, რომელიც ერთ-ერთ დასკვნით გამოცდაზე მიიღებს „F“ შეფასებას.

მუხლი 3. სტიპენდიის გაცემა

უნივერსიტეტის სტიპენდია ინიშნება რექტორის ბრძანების საფუძველზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

მუხლი 4. სტიპენდიის ვადაზე ადრე შეწყვეტა

1. სტიპენდიის გაცემის პერიოდში სტიპენდიანტს სტიპენდია ვადაზე ადრე შეუწყდება, თუ სტიპენდიის დანიშვნის შემდეგ პერიოდში მის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ღონისძიება, გაფრთხილების გარდა, ან მიმდინარე სემესტრის განმავლობაში არასაპატიოდ გაცდენილი სალექციო საათების საერთო რაოდენობა მიაღწევს 5%-ს.
2. სტიპენდიის გაცემა სტუდენტს შეუწყდება ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 5. წესის ძალაში შესვლა

1. წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.
2. წესი ამოქმედდეს დამტკიცებისთანვე.